

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი №13

ქ. თბილისი

8.11.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნოდარ პაპუკაშვილი - შპს „თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი“-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი, სამართლის დოქტორი - საბჭოს თავმჯდომარე;

ზურაბ გასიტაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

დევი წვედელიანი - ა(ა)იპ კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის მმართველი; გიორგი სალუქვაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი;

ზაზა რუხაძე - შპს „ქართულ-ამერიკული სასწავლო უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი, სამართლის სოციალური მეცნიერებებისა და დიპლომატიის სკოლის დეკანი; გრიგოლ ტატიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, რევაზ დოლონაძის სახელობის თეორიულ კვლევათა ლაბორატორიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

ირაკლი მჭედლიშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ევა ლეფსვერიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორი;

თინათინ კაიშაური - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

თამარ ბალდავაძე - შპს „ლენდ მარკ პროჯექტის“ არქიტექტორი; ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ხელოვნების ლექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი;

თამარ გულედანი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერის სპეციალისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
წარმომადგენლები:

თამარ ქიტიაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის
საბჭოს თავმჯდომარე;

ნინო ჩიქოვანი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის
საბჭოს წევრი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ელიტი:

ნინო ბერძენიშვილი - დირექტორი

ელისო ირემაძე - ყოფილი დეკანი

ნაილი კირიაკოვა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სწავლის პროცესის
კოორდინატორი

ვლადიმერ პროკოპოვი - სამეურნეო სამსახურის უფროსი, შრომის უსაფრთხოების
მენეჯერი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი:

ნათია ქაჯაია

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:15 საათზე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა, ლანა
გაჩერილამემ განაცხადა, რომ თუ დამსწრე საზოგადოება წინაღმდეგი არ იქნებოდა, საბჭოს
სხდომის ოქმის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერის მომზადება და
ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული
შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და
დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1
ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის დებულების“ 26^ე-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო
უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა
სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 26^ე-ე მუხლის მე-3 პუნქტის
მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს
ხმის მიცემისაგან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ნოდარ პაპუკაშვილმა. ამავე ნორმის თანახმად, საბჭოს მდივნის მოვალეობა შეასრულა დევი ხვედელიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ, ავტორიზაციის დებულების 26⁶-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოდან სხდომას ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე თამარ ქიტიაშვილი და საბჭოს წევრი ნინო ჩიქოვანი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ელიტის სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს წინაშე შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ელიტის სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

თავმჯდომარემ კოლეჯის წარმომადგენლებს მიმართა, წარმოედგინათ საჩივარი და ყურადღება გაემახვილებინათ პრობლემურ საკითხებზე.

კოლეჯის დირექტორმა, ნინო ბერძენიშვილმა, სააპელაციო საჩივარი გააცნო სააპელაციო საბჭოს. როგორც მან აღნიშნა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძველი იყო ორი ხარვეზი, რომელთან დაკავშირებითაც წარმოადგენდა თავის არგუმენტაციას.

მონიტორინგის დასკვნაში დაფიქსირდა, რომ დარღვეულია პირველი სტანდარტი, კერძოდ, ქვესტდანდარტი 1.4.

ქვესტანდარტი ეხება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების საკითხს. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დარღვეულია საქართველოს განათლებისა და



მეცნიერების მინისტრის 03.02.2011 წლის №8/ნ ბრძანებით დამტკიცებული „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები და წესი“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 10.12.2010 წლის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი“, 1.4 ქვესტანდარტის მოთხოვნა მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებით, ასევე დაწესებულებაში მოქმედი არაფორმალური განათლების აღიარების წესით გათვალიწინებული რეგულაციები, კერძოდ, არ განხორციელდა შეფასება პროფესიული განათლების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესაბამისად და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველის მიერ თეორიულ კომპონენტში შემავალ საგნებში (ინგლისური, ლათინური და მასაუისტის პირველი მოდულის კითხვები) მიღებული უარყოფითი შეფასებების მიუხედავად, დაწესებულებამ უღიარა მასაუისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მესამე საფეხურის თეორიული კომპონენტის შემადგენელი პირველი მოდულით გათვალისწინებული კრედიტები და დაუშვეს მეორე მოდულზე, რომელიც წარმოადგენს თეორიული კომპონენტის შემადგენელ მოდულს.

ნინო ბერძენიშვილის განმარტებით, იმ დროისთვის მოქმედი კანონმდებლობით მოთხოვნილი იყო არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმების ქონა და ამის გარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება ვერ იქნებოდა ავტორიზებული. აქედან გამომდინარე, კოლეჯს შემუშავებული ჰქონდა არაფორმალური განათლების აღიარების წესით გათვალისწინებული რეგულაციები და სისტემა იყო მოწესრიგებული, რასაც, როგორც მან აღნიშნა, ექსპერტებიც დაადასტურებენ. კოლეჯის დირექტორის თქმით, სადაო მხოლოდ ერთი კონკრეტული შემთხვევა, რომელიც ეხება მხოლოდ ერთ პირს, რომელმაც მათ კოლეჯს მიმართა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებისათვის. შესაბამისმა კომისიამ შეიმუშავა სპეციალური ტესტი, რომელიც მისი ცოდნის დონეს დაადგენდა მასაუისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის. აღნიშნულ პირს გამოცდა ჩაუტარდა საგნობრივი პროგრამის შემდეგ დისციპლინებში: ინგლისურ და ლათინურ ენებში. როგორც კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, ეს იყო ინტეგრირებული გამოცდა, თითოეულ დისციპლინაში მაქსიმალური ქულა იყო 50 და ჯამში შეადგენდა 100 ქულას. თითოეული ენა ფასდებოდა დამოუკიდებლად, პროცენტულად და 50 ქულიდან გადალახული უნდა ყოფილიყო 51% იმისთვის, რომ მოხმდარიყო კრედიტის აღიარება და პირს ენა ჩათვლოდა.

ამასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრის მხრიდან დასმულ იქნა კითხვა, თუ რა იყო ამ შემთხვევაში ინტეგრირებული გამოცდის ჩატარების მიზეზი, რაზეც ნინო ბერძენიშვილმა უპასუხა, რომ ვინაიდან ეს იყო უცხო ენის კომპონენტი, აღარ ჩათვალეს საჭიროდ ცალ-ცალკე 100-100 ქულიანი გამოცდის ჩატარება, მით უმეტეს, რომ ლათინურ ენაში არ



ხდებოდა ცოდნის ფუნდამენტურად შემოწმება და ფასდებოდა მხოლოდ ტერმინოლოგიის ცოდნა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, აღნიშნულ შემთხვევაში ლათინურ ენაში გამოცდის ჩატარება რატომ წარმოადგენდა აუცილებლობას და რა კავშირში იყო მასაჟისტის პროგრამასთან. ნინო ბერძენიშვილმა განმარტა, რომ ყველა სამედიცინო საგნობრივ პროგრამაში, უცხო ენის კომპონენტში აუცილებლად იყო ლათინური ენა, რაც გულისხმობდა სამედიცინო ტერმინოლოგიის ცოდნას, სტუდენტს უნდა სცოდნოდა სამედიცინო პროფილის პროგრამებში სამედიცინო ტერმინოლოგია ლათინურ ენაზე.

ნინო ბერძენიშვილის თქმით, მხოლოდ ამ დარღვევაზე იყო საუბარი და მას ავტორიზაციის ექსპერტები და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები ედავებოდნენ იმაში, რომ ჩატარდა ინტეგრირებული გამოცდა და იყო 50-50 ქულიანი შეფასება. თუმცა, თავად მიიჩნევდა, რომ ეს დარღვევას არ წარმოადგენდა, რადგან არაფორმალური განათლების აღიარების წესში ეწერა, რომ კომპონენტი შეფასებული უნდა ყოფილიყო 100 ქულიანი სისტემით, რაც არ ყოფილა დარღვეული, რადგან ჯამში კომპონენტის შეფასება მოხდა 100 ქულით.

კოლეჯის დირექტორის თქმით, იმ ადამიანს, რომელზეც საუბარი იყო ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში, ამჟამად შეწყვეტილი აქვს სტუდენტის სტატუსი და კვალიფიკაცია არ აქვს მინიჭებული. სტატუსის შეწყვეტის მიზეზი იყო პირადი განცხადება, რომლის მიხედვითაც სტუდენტი საზღვარგარეთ გაემგზავრა.

ნინო ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც სექტემბერში ფუნდამენტურად შეიცვალა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესი და სისტემა, მან ოქტომბერში საერთოდ გააუქმა აღნიშნული მექანიზმები კოლეჯში, რადგან ავტორიზაციის აღდგენის შემთხვევაში, კოლეჯი აღარ იქნება ვალდებული, ჰქონდეს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების რეგულაციები ან თუ გადაწყვეტს, რომ ჰქონდეს, უნდა იყოს სრულიად განსხვავებული.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბერძენიშვილს სთხოვა, გადასულიყო შემდეგ ხარვეზზე.

კოლეჯის დირექტორმა განაცხადა, რომ შემდეგი ხარვეზი ეხება ადამიანურ რესურსთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებს.



როგორც მინიტორინგის დასკვნაში დაფიქსირდა, დარღვეულია მესამე სტანდარტი, კერძოდ, ქვესტანდარტი 3.3, რაც მდგომარეობს შემდეგში: ადამიანურ რესურსთან დადებული შრომითი ხელშეკრულება არ შეესაბამება საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის მოთხოვნებს, კერძოდ, არ არის გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები: მუშაობის დაწყების თარიღი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, სამუშაო ადგილი, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი.

ნინო ბერძენიშვილმა განმარტა, რომ ის საკითხები, რომელიც არ იყო გაწერილი შრომით ხელშეკრულებებში, რეგულირდებოდა კოლეჯის შინაგანაწესით, რომელსაც თანამშრომელი სამსახურში მიღებამდე ეცნობოდა და ეს დადასტურებული იყო განაცხადში, რომელსაც იგი ხელს აწერდა. მისი თქმით, ექსპერტები მას ედავებოდნენ იმაში, რომ არ არსებობდა ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, რომ შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. კოლეჯის დირექტორმა განაცხადა, რომ მისი აზრით, სრულიად საკმარისი იყო აღნიშნული განაცხადის ფორმა შესაბამისი ჩანაწერით. გარდა ამისა, არ დაფიქსირებულა არცერთი შემთხვევა იმისა, რომ რომელიმე თანამშრომელს პრეტენზია გამოეთქვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ნოდარ პაპუკაშვილმა სიტყვა გადასცა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს, თამარ ქიტიაშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომებზე არაერთხელ შეხვდნენ დაწესებულების წარმომადგენლებს და განიხილეს მათი საკითხები და პერიოდულად კოლეჯს უფიქსირდებოდა გარკვეული ტიპის ხარვეზები და სერიოზული რეკომენდაციები. მისი თქმით, იმ საბჭოს სხდომაზე, რომელზეც გადაწყდა დაწესებულებაში ბოლო მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება, თავისუფლად იყო შესაძლებელი, მიღებული ყოფილიყო გადაწყვეტილება კოლეჯისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, რადგან საქმე ეხებოდა სტუდენტების უფლებების დარღვევას, კერძოდ, დაწესებულებას თავის შინაგანაწესში ჰქონდა ჩანაწერი, რომ გარკვეული რაოდენობის გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტს გაუუქმდებოდა კრედიტ-ქულები, რომელიც უკვე დადასტურებული ჰქონდა. თამარ ქიტიაშვილის თქმით, ეს ჩანაწერი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერ კანონთან მოდიოდა წინააღმდეგობაში. თუმცა საბჭოს წევრებმა გაითვალისწინეს რეგიონში ქართული საგანმანათლებლო კერის არსებობის მნიშვნელობა და ის გარემოება, რომ ავტორიზაციის დებულებაში პირდაპირ არსად არ არის მითითებული, რომ კანონის დარღვევა შეიძლება იყოს ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი, კიდევ ერთხელ მიეცა დაწესებულებას შესაძლებლობა, რომ გამოესწორებინა ხარვეზები და გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩანიშნეს მონიტორინგის ვიზიტი. როგორც თამარ ქიტიაშვილმა განაცხადა, ბოლო მონიტორინგის ვიზიტის შედეგად




დადგინდა, რომ ძველი ხარვეზები გამოსწორებული ჰქონდა დაწესებულებას, თუმცა დაფიქსირდა ახალი ხარვეზები.

საბჭოს ერთ-ერთი წევრი ჩაეკითხა თამარ ქიტიაშვილს, თუ რის საფუძველზე მისცა დაწესებულებას შესაძლებლობა, გამოესწორებინა ხარვეზები, რაზეც მან კიდევ ერთხელ გააკეთა განმარტება, რომ არ ფიქსირდებოდა ავტორიზაციის დებულების დარღვევა, ხოლო კანონის დარღვევა, დებულების თანახმად, არ წარმოადგენს ავტორიზაციის გაუქმების საფუძველს. თამარ ქიტიაშვილის თქმით, ახალი დებულება, რომლის პროექტიც უკვე წარდგენილია დასამტკიცებლად, ითვალისწინებს ამგვარ გარემოებას და მის თანახმად, კანონდარღვევაც ჩაითვლება ავტორიზაციის გაუქმების საფუძვლად.

თამარ ქიტიაშვილის თქმით, ნინო ბერძენიშვილი თავისი პოზიციის ჩამოყალიბების დროს მხოლოდ ნაწილობრივ შეეხო იმ გარემოებებს, რომელიც საბჭოს სხდომაზე იყო განხილული. მისი აზრით, არაფორმალური განათლების აღიარება არის განათლების სისტემის ძალიან სენსიტიური კომპონენტი, რომელიც უკავშირდება მაღალი კორუფციული რისკის ასპექტებს. ნინო ბერძენიშვილს იმ ეტაპისთვის მოქმედი სამართლებრივი აქტებიდან ჰქონდა გადმოტანილი წესები დაწესებულების შიდა რეგულაციებში, ამიტომ დაწესებულებამ დაარღვია როგორც საკუთარი რეგულაციები, ასევე მინისტრის ბრძანებაც, რომელიც ეხება არაფორმალური განათლების აღიარების წესს. თამარ ქიტიაშვილის თქმით, წარმოუდგენელია რამდენიმე, სრულიად განსხვავებული დისციპლინის გაერთიანება და 100 ქულიანი სისტემით ერთად შეფასება. გამომდინარე აქედან, ცალსახა იყო საბჭოს წევრების პოზიცია, მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხებოდა ისეთ სენსიტიურ საკითხს, როგორიცაა არაფორმალური განათლების აღიარება, რადგან სისტემაში მრავლად არის შემთხვევები, როდესაც არაფორმალური განათლების აღიარების მოკლე გზით ხდებოდა დიპლომის გაცემა, ამიტომ საბჭომ იმოქმედა კანონმდებლობის ფარგლებში.

თამარ ქიტიაშვილმა განმარტება გააკეთა მეორე ხარვეზთან დაკავშირებითაც. მან აღნიშნა, რომ ნინო ბერძენიშვილმა არ გაამახვილა ყურადღება ისეთ სერიოზულ საკითხებზე, როგორიცაა ხელმოუწერელი შრომითი ხელშეკრულებები და ხელშეკრულებები, სადაც ხელფასი ან ხელშეკრულების საგანი არ იყო მითითებული და ა.შ. თამარ ქიტიაშვილის თქმით, ძალიან ბევრი განსხვავებული შემთხვევა იყო, რის მიხედვითაც აშკარა იყო, რომ საქმისწარმოების სერიოზულ დარღვევებს ჰქონდა ადგილი, რომ არაფერი ითქვას უფრო სერიოზულ დარღვევებზე. გამომდინარე აქედან, აღნიშნულ დარღვევასაც მიეცა შესაბამისი ხარვეზის კვალიფიკაცია და პირველ ხარვეზთან ერთად იქონია გავლენა საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.




როგორც თამარ ქიტიაშვილმა განაცხადა, გარდა აღნიშნული ორი ხარვეზისა, იყო კიდევ ერთი ხარვეზი, რომელიც საბჭომ მოხსნა განხილვიდან არა იმიტომ, რომ ექსპერტებს არასწორად ჰქონდათ მისთვის მინიჭებული ხარვეზის კვალიფიკაცია, არამედ გამომდინარე იქიდან, რომ მას არ ჰქონდა მოტანილი სისტემური ხასიათის ზიანი.

საბჭოს ერთ-ერთი წევრი დაინტერესდა, რომელი ხარვეზი იქნა მოხსნილი განხილვიდან, რაზეც თამარ ქიტიაშვილმა უპასუხა, რომ ეს ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს, რომელიც არ მოიცავდა 1.2 ქვესტანდარტით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების შეფასების წესს. მისი თქმით, ეს ხარვეზია, თუმცა საბჭომ მხედველობაში მიიღო, რომ დაწესებულებას ეს გამოსწორებული ჰქონდა საბჭოს სხდომის მომენტში და გამოქვეყნებული ჰქონდა ვებგვერდზე. როგორც თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, საბჭოს თანამშრომლობითი დამოკიდებულება ჰქონდა და ნამდვილად არ ჰქონია წინასწარი განწყობა, რომ დაწესებულებისთვის ავტორიზაცია გაეუქმებინა. პირიქით, საბჭოს წევრები ცდილობდნენ, რაიმე ხელმოსაჭიდი ეპოვნათ იმისათვის, რომ კოლეჯს შეენარჩუნებინა სტატუსი და სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში ყოფილიყო კიდევ ერთი სტატუსი და სტრატეგიულად დაწესებულება, თუმცა ამის შესაძლებლობა არ მიეცათ, რადგან საგანმანათლებლო დაწესებულება, თუმცა ამის შესაძლებლობა არ მიეცათ, რადგან გადაწყვეტილება უნდა მოექციათ დებულების სამართლებრივ ჩარჩოში და ასეც მოიქცნენ.

ზურაბ გასიტაშვილმა ნინო ბერძენიშვილს მიმართა, რომ როგორც ცნობილია, ხუთჯერ იქნა განხორციელებული დაწესებულებაში ექსპერტების ვიზიტი და რომელ ეტაპზე მოხდა არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული დარღვევის აღმოჩენა ექსპერტების მიერ, რაზეც კოლეჯის დირექტორმა უპასუხა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა მეოთხე ვიზიტის დროს უკვე ჩატარებული იყო გამოცდა, ექსპერტებს არ გაუმახვილებიათ ამაზე ყურადღება ან არ მიიჩნიეს ხარვეზად. მხოლოდ მეზოთე ვიზიტის დროს იქნა ექსპერტების მიერ აღმოჩენილი აღნიშნული ხარვეზი. ამასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა თამარ ქიტიაშვილმა. მისი თქმით, ამ საკითხის განხილვის დროს ნინო ბერძენიშვილს ერთ-ერთ არგუმენტად ჰქონდა ისიც, რომ თუ ექსპერტთა წინა ჯგუფმა არ მიიჩნია აღნიშნული ფაქტი დარღვევად, ამ შემთხვევაში რატომ არის ხარვეზი, რაც, რა თქმა უნდა, ვერაფრით ვერ იქნებოდა საბჭოსთვის არგუმენტი, რადგან თუ ექსპერტთა ერთ ჯგუფს გაეპარა ხარვეზი და მეორემ აღმოჩინა, არ ნიშნავს, რომ თვალი უნდა დაიხუჭოს ამ გარემოებებზე და ამაზე დავაც ზედმეტია. თუმცა, მისი აზრით ეს არის კარგი მინიშნება იმისათვის, რომ გადახედილ იქნას სხვადასხვა ექსპერტთა ჯგუფების საქმიანობა და ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ექსპერტთა დასკვნებს შორის ასეთი განსხვავებებია.

საბჭოს წევრებს შორის დისკუსია წარიმართა არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებულ საკითხზე და ინტეგრირებულ გამოცდაზე, რაშიც ჩაერთო თამარ ქიტიაშვილი და საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ გარდა ინგლისური და ლათინური



ენებისა, ინტეგრირებული გამოცდის საკითხებში ასევე შეტანილი იყო მასაჟისტის პირველი მოდულის კითხვებიც და, შესაბამისად, 100 ქულიანი სისტემით მოხდა ერთდროულად სამი სხვადასხვა საგნის შეფასება, მაგრამ ნინო ბერძენიშვილმა ყურადღება გაამახვილა მხოლოდ უცხო ენებზე, თუმცა არსებობს მესამე საგანიც, რომელიც ვერანაირი ლოგიკით ვერ უკავშირდება დანარჩენ ორ საგანს. თუ ინგლისური და ლათინური ენები რაღაცნაირად კავშირშია ერთმანეთთან, მასაჟისტის საკითხები სრულიად შეუსაბამოა ამ ლოგიკასთან.

ზურაბ გასიტაშვილმა კითხვით მიმართა საბჭოს სხდომაზე დამსწრე ექსპერტს, ნათია ქაჯაიას, თუ როგორი იყო ზოგადი გარემო და ინფრასტრუქტურა კოლეჯში ვიზიტის დროს და იყო თუ არა დაწესებულება სათანადოდ აღჭურვილი. როგორც ნათია ქაჯაიამ განაცხადა, ექპერტთა ჯგუფს ორ მისამართზე ჰქონდა ვიზიტი, რადგან დაწესებულება ორ მისამართზე საქმიანობდა, კერძოდ, ქ. ქუთაისში და ქ. მარნეულში. მისი თქმით, გარდა იმისა, რაც ხარვეზად იქნა დაფიქსირებული, ავტორიზაციის სხვა არცერთი სტანდარტი არ იყო დარღვეული და დაწესებულება ორივე მისამართზე მოწყობილი იყო ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად და დოკუმენტაციაც იძლეოდა იმის შეფასების შესაძლებლობას, რომ დაწესებულება ფუნქციონირებდა კანონმდებლობის შესაბამისად.

ზურაბ გასიტაშვილი დაინტერესდა, თუ რამდენი სტუდენტი ჰყავდა დაწესებულებას, რაზეც ნინო ბერძენიშვილმა უპასუხა, რომ ორივე მისამართზე ჯამში იყო 100-მდე სტუდენტი. მისი თქმით, დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმების გამო რამდენიმე სტუდენტის ბედი უცნობია და საბჭოს გადაწყვეტილებაში არაფერია ნათქვამი მობილობის განხორციელებაზე. ამასთან დაკავშირებით თამარ ქიტიაშვილმა განმარტება გააკეთა, რომ საბჭოს გადაწყვეტილება მობილობას არ სჭირდება, მობილობის უფლებას კანონი აძლევს სტუდენტს და მას აქვს მობილობის უფლება ისეთ დაწესებულებაში, სადაც იგივე პროგრამები ხორციელდება.

საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად და აზრების შესაჯერებლად 18:06 სთ.-ზე გამოცხადდა შესვენება. საბჭოს სხდომა განახლდა 18:26 სთ.-ზე.

საბჭომ გადაწყვეტილების მიღებისას ყურადღება გაამახვილა რამდენიმე გარემოებაზე, კერძოდ:

1. საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტი“ წარმოადგენს ინფრასტრუქტურულად გამართულ სასწავლო დაწესებულებას, რომელიც ადეკვატურად აფასებს საქმიანობისას გამოვლენილ ხარვეზებს და ხარისხის სრულყოფის მიზნით ითვალისწინებს ექსპერტთა რეკომენდაცია/რჩევებს, რაც დადასტურებულ იქნა მონიტორინგის განხორციელების შედეგად დასკვნაში ასახული პრობლემური საკითხების აღმოფხვრა/გადაწყვეტაში;

2. მონიტორინგის განხორციელებისას აქცენტირება უნდა გაკეთდეს იმ პრობლემების აღმოფხვრაზე, რის გამოც შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანომ ჩათვალა საჭიროდ სასწავლო დაწესებულების გაკონტროლება და თუ შემოწმებისას რეალურად იქნა აღმოჩენილი სხვა სახის დარღვევაც, ასეთ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია არ გამოიყენოს ისეთი მკაცრი სანქცია სასწავლო დაწესებულების მიმართ, როგორიცაა ავტორიზაციის გაუქმება და კვლავ მისცეს ვადა მდგომარეობის გამოსასწორებლად.
3. მოცემულ შემთხვევაში, იმ გადაცდომაზე, რომელიც შესაძლებელია მოახდინა „ელიტმა“, ნეგატიური შედეგი არ დამდგარა, რომელიც კონკრეტული სუბიექტის უფლების დარღვევას გამოიწვევდა. უფრო მეტიც, აპელანტმა იმთავითვე შეძლო არაფორმალური განათლების შიდა რეგულაციის მექანიზმის გაუქმება და განაცხადა მისი ხელახლა შემუშავების მზაობის თაობაზე, მიუხედავად იმის, რომ პრობლემა მარეგულირებელი დოკუმენტის შინაარსში კი არა, არამედ კონკრეტულ შემთხვევაში იყო. მონიტორინგის შედეგად გამოასწორა ხარვეზები, რომლებიც ექსპერტებმა დაადგინეს, თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის ინფორმაციით, აღმოჩენილ იქნა სხვა ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც კანონთან შეუთავსებელს ხდის მისი როგორც სასწავლო დაწესებულების მომავალში ფუქციონირებას - იკითხება გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დასაბუთებაში. შესაბამისად, საბჭოს მიაჩნია, რომ, იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო დაწესებულება მიმართულია ხარვეზის აღმოფხვრისა და ხარისხის სრულყოფისკენ და თუ მის მიერ განხორციელებულმა შესაძლო დარღვევამ არ გამოიწვია შედეგის სახით კონკრეტული უფლების დარღვევა, მას არ უნდა აეკრძალოს საქმიანობა და უკიდურეს შემთხვევაში, უფრო რბილი სანქცია უნდა იქნეს გამოყენებული მის მიმართ.
4. მონიტორინგი, რომელიც განხორციელდა „ელიტში“, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, არასრულყოფილად იქნა ჩატარებული, რამდენადაც ეს საკითხი შესამოწმებელ პერიოდში არ იქნა სრულყოფილად შესწავლილი. შესაბამისად, საბჭომ ივარაუდა, რომ იმ შემთხვევაში თუ მონიტორინგის ჯგუფი აღნიშნულ გადაცდომას იმთავითვე დააფიქსირებდა და მისცემდა დაწესებულებას გამოსწორების დროს, სხვა ხარვეზების მსგავსად, ისიც გამოსწორებული იქნებოდა.
5. იმ ფონზე, როდესაც სასწავლო დაწესებულება მდებარეობს მეტად რთულ რეგიონში, რომლის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა საჭიროებს სრულყოფილ სამოქალაქო ინტეგრაციას, მიზანშეწონილია ხელი შევუწყოთ პროფესიული სასწავლო დაწესებულების ფუნქციონირებას კანონმდებლობის მოთხოვნების მაქსიმალური შესრულებით, ვიდრე აქცენტები განხორციელდეს გადაცდომებზე, რომელსაც რეალურად არც ერთი სუბიექტისთვის არავითარი უარყოფითი შედეგი არ მოუტანია და მისი გამოსწორება შესაძლებელია დოკუმენტაციის გამოთხოვით, მარტივი მონიტორინგის გზით.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სხდომაზე წარმოდგენილი არგუმენტაციების, ფაქტების, ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის შედეგად საბჭომ გადაწყვიტა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ელიტის ავტორიზაციის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტან დაკავშირებით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 სექტემბრის №172 გადაწყვეტილების ხელახლა განხილვისათვის დაბრუნების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26²-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ელიტის (ს/კ: 406129602) ავტორიზაციის საკითხი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ 18:28 სთ.-ზე
სააპელაციო საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ნოდარ პაპუკაშვილი

მდივანი

დევი ხვედელიანი